

ოქმი № 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2019 წელი, 27 მაისი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.კილაძე, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ.ორაგველიძე, ჯ.თავართქილაძე, ვლ.ჩავლეშვილი, ლ.მგელაძე, ვლ.დლონტი, დ.ჭაკნელიძე, დ.მჟავანაძე, ლ.კილაძე, თ.ბურჭულაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხს:გ.კილაძე

თანამომხს:პ.ჭყონია

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს:გ.კილაძე.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს:გ.კილაძე.

4.სამხარეო ადმინისტრაციიდან შემოსული წერილის თაობაზე.

მომხს:გ.კილაძე.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ. აღინიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმა

შესრულდა როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯების ნაწილში და მიზანშეწონილია შესრულების ანგარიში განიხილოს და ცნობად მიიღოს საკრებულოს მორიგმა სხდომამ.

იმსჯელეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების შესახებ და მიზანშეწონილად მიიჩნის მისი საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარდგენა.

კომისამ ასევე მხარი დაუჭირა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას.

განიხილეს სამხარეო ადმინისტრაციიდან შემოსული წერილი, რომელიც ეხებოდა სოფელ კონჭკათში ლითონის მადნეულის საბადოს საძიებო სამუშაოების ჩატარებაზე ადგილობრივი მოსახლეობის აზრის დაფიქსირების თაობაზე წიადის ეროვნული სააგენტოს მომართვას, აღინიშნა, რომ მოსახლეობა არ არის წინაღმდეგი ჩატარდეს საბადოს საძიებო სამუშაოები, რის თაობაზე ინფორმაციას წერილობით მიაწვდიან სამხარეო ადმინისტრაციას.

გადაწვტიეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა(თან ერთვის) და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი, კომისიის სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული სამივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

2.საბადოს საძიებო სამუშაოების დაწყების თაობაზე სოფელ კონჭკათის მოსახლეობის აზრის შესახებ ინფორმაცია წერილობით მიეწოდოს გურიის სამხარეო ადმინისტრაციას.

გოჩა კილაძე

კომისიის თავმჯდომარე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია